ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4869597

ნომერი: AR1733785

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 25.02.2020

გაცნობის თარიღი : 01.04.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩეხოვის , N 1 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ჩეხოვი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ ბუაძე პ/ნ 37001014607
- სამტრედია ს. ეწერი

ორგანიზაცია:
- შპს კოპალა კოდი: 206118075

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "კოპალა 5"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206118075
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თორნიკე კოპალეიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011056530

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გივი ჯაფარიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

## გადაწყვეტილება

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილში მითითებული დანართი.
2. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: ტოპოგეგმაზე ნაჩვენები იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხაზობრივი ნაგებოები და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი მესაკუთრეების პოზიციები პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.
3. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:
-პროექტი ასევე ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი შემსრულებლის მიერ.
-წარმოადგინეთ განმარტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით და არსებული და საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
-წარმოადგინეთ არსებული სხვენის გეგმა.
-არსებული ჭრილი 1-1 და ჭრილი 2-2 მოიყვანეთ გეგმასთან შესაბამისობაში
-წარმოადგინეთ არსებული შენობის სრულყოფილი ფასადები. ასევე მოიყვანეთ გეგმასთან შესაბამისობაში. (ღერზის ხაზები სწორად იქნას დატანილი).
-საპროექტო გადახურვის გეგმაზე აჩვენეთ წყალშემკრები.
-საპროექტო ჭრილები მოიყვანეთ გეგმასთან შესაბამისობაში.
-საპროექტო სარდაფის სართულის გეგმაზე ექსპლიკაცია შეასწორეთ და ნომრები შესაბამისად მიუთითეთ.
-საპროექტო სარდაფის ნაწილში შენობა სცდება საკადასტრო საზღვრებს;
-ნახაზებზე ნაჩვენები იქნეს როგორ უკავშირება ხიდი 01.17.01.091.033 საკადასტრო ერთეულზე არსებულ შენობას.
4. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსტრუქციული პროექტი -> .ძეგლის კონსტრუქციული პროექტის pdf ფაილი: კონსტრუქციული პროექტი არ არის მისაღები, მასში მოცემული ღერძები არ ემთხვევა არქიტექტურულ ღერძებს.
5. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა -> .ძეგლის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის pdf ფაილი: დოკუმენტაციაში საუბარია დემონტაჟზე. გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს ნახსენები; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება"
6. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევა -> .ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევის pdf ფაილი:
-შეავსეთ სპეციალისთის მონაცემები.
-კვლევა ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი შემსრულებლის მიერ.
-წარმოდგენილი დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ველში ატვირთეთ.
-შენობის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მოცემული დასკვნა არ არის მისაღები, უნდა განისაზღვროს

დაზიანების ხარისხი დაზიანებათა ზოგადი ხარისხობრივი კლასიფიკაცის მიხედვით - აგურის მზიდკედლიანი შენობებისთვის და უნდა მიენიჭოს დაზიანების კატეგორია.
7. .საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ : წარმოადგინეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობისა და ჩასატარებელი სამუშაოების მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ, ასევე 01.17.01.091.033 საკადასტრო ერთეულზე არსებულ შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ხიდის მოწყობის შეფასებით.
8. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ასევე შორი ხედის მხრიდან გადაღებუული ფოტოსურათები (საჭროა რომ შენობა მთლიანად აღიქმებოდეს).
9. .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოადგინეთ განახლებულ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედებიდან და მასზე მიუთითეთ ნიშნულები, მასალა და ფერი (RAL; RGB;).
10. N01.17.01.091.033 საკადასტრო ერთეული მონიშნული იქნეს რუკაზე (აღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ ჩართულია რუკის ცვლილების უფლება).
11. დამკვეთის ინფორმაციაში შპს „კოპალა 5“-ის საიდენტიფიკაციო კოდი მიუთითეთ.
12. წარმოადგინეთ შპს „კოპალა 5“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა.
13. საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება იპოთეკა. წარმოადგინეთ შესაბამისი თანხმობა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.